ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №33

ქ. მესტია

18 ნოემბერი, 2013 წელი

ერთის მხრივ, სსიპ პროფესიული კოლეჯი „თეთნულდი“ (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის ირმა ჯაფარიძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,მატექს ჯორჯია“ (შემდგომში "მიმწოდებელი") ს/კოდი 200157169 , „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დებენ გადაუდებელი შესყიდვის საშუალებით წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი-შემსყიდველს.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3 "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 "საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სსიპ პროფესიული კოლეჯი „თეთნულდი“ -ს საჭიროებისათვის ელ.გამათბობელის ღირებულება.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 596 ლარი და 00 თეთრი.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, მათ შორის დ.ღ.გ.-ს აგრეთვე საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა თანმდევ ხარჯს.

4 ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 მესტია სსიპ პროფესიული კოლეჯი „თეთნულდი“

6.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება 2013 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1. შეამოწმოს მიწოდებული საქონელის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.1.2. უარი თქვას უხარისხო საქონლის მიღებაზე.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

7.2.2. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

7..3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. გააფრთხილოს შემსყიდველი საქონლის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;

7.4.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს (კონტროლი) ინსპექტირება, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობი დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2 ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ (კონტროლს) ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

9.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დროულად გადაუხდელი თანხის 0.1% ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება, პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისაგან საქონლის ყოველი მიწოდების თაობაზე მოთხოვნის (წერილობითი ან/და ზეპირი) მიღებისას, მხარეები ვალდებულნი არიან მიმწოდებლის მიერ საქონლის მოთხოვნის მიღების დღისათვის არსებული მონაცემების გამოყენებით მოახდინონ ფასების გადაანგარიშება, ამ მუხლით განსაზღვრული წესით და თუკი ადგილი ექნება 10.1 პუნქტში მითითებული ფასების შეცვლის საფუძველს, შემდგომში წერილობითი შეთანხმებით გააფორმონ ახალი ფასები. თუ ამ საფუძველს არ ექნება ადგილი, ძალაში დარჩება მხარეებს შორის ბოლო შეთანხმებული ფასი. ფასი ძალაში დარჩება გადაანგარიშებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადით. თუკი შემსყიდველი აღნიშნულ ვადაში არ მოახდენს საქონლის შესყიდვას, გადაანგარიშებული ფასები კარგავს ძალას და შემსყიდველი ვალდებული იქნება ხელახლა წარმოუდგინოს მიმწოდებელს საქონლის მოთხოვნის შესახებ განაცხადი.

10.1 ფასის შესაძლო ცვლილების შესახებ მეორე მხარის გაფრთხილება ან რაიმე სახის შეტყობინების გაგზავნა სავალდებულო არ არის.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ პროფესიული კოლეჯი „თეთნულდი“ მესტია ფარჯიანის ქ #25 საიდენტიფიკაცო კოდი:235891512 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი:LBRTGE22 ირმა ჯაფარიძე	შპს „მატექს ჯორჯია“ მის: თბილისი, ცაბაძის 168 „ახალი კიდობანი“ საიდენტიფიკაცო კოდი: 200157169 საბანკო რეკვიზიტები: ს.ს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშის ნომერი: GE05TB1864336020100001 შპს „მატექს ჯორჯია“